



5835



ვლ. ალექსი-მესხიშვილი (გასტროლების გამო)

## ბ უ ლ ბ უ ლ ი

(გუძღვნი ვლ. ალექსი-მესხიშვილს)

ენახე ბუღბუღი, წალკოტს იყო,  
 ყვაილებს ჰკრებდა,  
 და თან მზიბლავის ციურის ხმით  
 დამღერდა ბუჩქნარს...  
 ხოლო არ ვიცი, რისთვის, ან რად  
 ვის უმზადებდა:  
 ქვეყნის რჩეულ შვილს, ჩემს მამულს თუ  
 სატროფოს-მეგობარს?!

\*

მე კი მსურს მგოსანს, აზიეთ მეფეს,  
 იმ მღერალ ბუღბუღს,  
 წაებაძო ჰანგით და მისამებრ  
 დავილილინო, —  
 მსურს თაყვანი ვსცე უანგაროს,  
 მის ნიჭს დიდებულს,  
 მსურს ყვაილოთ-ჯილა თავს დავადგა,  
 დავაგვირგვინო!..

ი. გრიშაშვილი



## 10 იანვარი 1910 წ.

**საზოგადოება** ჩვენი დროის სცენის მო-  
**ღე ჩვენი სცენა.** ტრფიალად მხოლოდ გა-  
სართობად არ დაიარება თეატრში, არამედ  
ესთეტიურ კმაყოფილების მისაღებად...

რომელიმე პიესის შინაარსის, ანუ მსახიო-  
ბის თამაშობიდან 99% რომ კარგი იყოს და  
მხოლოდ 1% უხეირო, მაყურებელს მაინც ეს  
მეასელი უხეირო ნაწილი უხდენს შთაბეჭდილე-  
ბას, აზრახებს, აცოფებს, სამღურთაო ავსებს...

ამის დამამტკიცებელია ჩვენი სცენა.

იყო დრო, როცა საზოგადოება თეატრში  
მხოლოდ გართობა-გაცინებისათვის დაიარებო-  
და, თეატრი ბერიკობა ეგონა...

ამ გვარი მაყურებელის ხელში მსახიობი  
იოლას გამოდიოდა: ხშირად თავის მხრით ისეთ  
სიტყვებს წამოისროდა ხოლმე სცენიდან, რაც  
შეიძლება პიესის იდეას არ შეეფერებოდა, მაგ-  
რამ მაყურებელს-კი გაახიზნებდა, გააცინებდა.

გემო - განუვითარებელ მაყურებელს შეი-  
ძლება ეს ერჩივნა და ერჩივნოს კიდევ,  
მაგრამ გემო-განვითარებული მოთეატრე ამას  
ვერ შეიწყნარებს: მის სწყურია ხელოვნური  
თამაში, უმაღლესი სულიერი საზრდა...

და სწორედ ამითი აიხსნება ის გარემოება,  
რომ დღეს ქართველი საზოგადოება სამშობ-  
ლო სცენაზე გაორგულებულია!...

ერთი მოგახსენებენ: რისთვის წავიდეთ  
ქართულ თეატრში, როდესაც უცხო უკეთესი  
ხელოვანი მსახიობნი უკვე მოწყობილ წარ-  
მოდგენებს გვიჩვენებენ; მეორენი ბძანე-  
ბენ — დავდივართ, მაგრამ... სიამოვნების  
მისაღებად კი არა, — ქართველი მსახიობი  
გვებრძლება და მის შესაწევრად დავდივართო...

აუტანელია ასეთი მდგომარეობა, — თეა-  
ტრისა და მისი მსახურის ღირსებაც სწორედ  
მაშინ გაიქველა ჩვენში ფეხ ქვეშ, როდესაც იგი  
საკლასაოდ გადაიქცა...

თეატრი კი ერთს წერტილზეა შეჩერებუ-  
ლი... ჩვენმა სცენამ წარსულში ოთხი-ხუთი  
ნიჭიერი მსახიობნი — თეითნიჭიერებანი, რუ-  
სები რომ იტყვიან — САМОУЧЕНИИ წარმოშო-  
ბა, — ეს იყო და ეს...

მათ თავის დროის მოთხოვნილება ღირსეუ-  
ლად დაკმაყოფილეს... დღეს ასეთი თვით-ნი-  
ჭიერნი რომ წარმოიშენენ კიდევ, მაინც დონს

ვერ გავლენ, რადგანაც ჩვენი დროის სასცენო  
ხელოვნება სათვალწინოდ განვითარდა, რასაც  
ანგარიში უნდა გაუწიოს სცენის ყოველმა ახა-  
ლმა ქურუმმა...

ხოლო ჩვენი თეატრის აწინდელი მდგომარეობა ისეთი სახარბიელო არ არის, რომ ვინ-  
მე შეძლებულთაგანმა უმაღლესი განათლება  
მიიღოს, სხვა საქმეს თავი გაანებოს და სამ-  
სახური ირჩიოს სამშობლო სცენაზე...

თუ ჩვენს საზოგადოებას ეროვნული სცენა  
რადმე მაჩნია, ახლავე უნდა მოჰკიდოს ხელი  
სამშობლო თეატრის ძირეულ გარდაქმნას...

ჩვენმა საზოგადოებამ ძელო-ბილში უნდა  
გაითქვიფოს ის აზრი, რომ ქართული თეატრი  
არსებობს და უნდა არსებოს კიდევ, ვიდრემდე  
ქართულად მოლაპარაკე-მსმენელიც იარსებებს  
ქვეყანაზე...

ამისათვის-კი საჭიროა გამოვზარდოთ უმაღ-  
ლეს სწავლა-ცოდნით აღჭურვილი მსახიობნი...

და საზოგადოებამ ახლავე უნდა იზრუნოს —  
იზრუნოს თავამოდებით ამ ნაკლის შესავსებად.

მიუხედავად ჩვენის სიღარიბისა, ჩვენი ქველ-  
მოქმედნი მაინც ახერხებენ და სტიპენდიან-  
ტებს ჰგზავნიან რუსეთსა და საზღვარ-გარედ...

ამგვარად აღზრდილებით მოხელეთა ზაზმს  
აძლიერებენ და ეროვნულ თეატრზე-კი არ  
ფიქრობენ... დრო-კი თხოულობს, რაოდენიმე  
ახლოგზავდა ქალი და კაცი გაიგზავნოს რუსეთ-  
სა და საზღვარ-გარედ სასცენო ხელოვნების  
შესასწავლად. ამ მიზნით წასულმა ახლოგზადო-  
ბამ იმის გარდა, რომ საზოგადო განათლება მი-  
იღოს, ზედმიწევნით უნდა შეისწავლოს სამშო-  
ბლო მწიგნობრობა, ხელოვნება, ისტორია ლხ.

ამ საქმეს მოწყობა ეჭირვება, გულის დღე-  
ბა და იმის გათვალისწინება, რომ ჩვენი სცენა  
ასე ერთ წერტილზე უნდა გაიყინოს, თუ წინ  
წავიდეს...

გარდა ახლად გასაგზავნ ახლოგზადებისა, აუ-  
ცილებლად საჭიროა საზოგადოებამ ყურადღე-  
ბა მიაქციოს რუსეთში სასცენო ხელოვნების  
შესასწავლად უკვე წასულით...

ჩვენს სცენას ეჭირვება ნორჩ ძალთა ძლი-  
ერი ტალღა, დამყაყუბუ შმობის გასაწ-  
მენდათ და ახალი კედლების აღსაშენებლად...  
უამისოდ ერთ ნაბიჯსაც ვერ გადავდგავთ წინ,  
ჩვენივე ხელით ყელს გამოვიჭრით და დასაგ-  
მობნი შევიქნებით შთამომავალთაგან...

...ბედის კარებთან

მწუხრია... ბინდმა კაქუნაფანს  
ოცნების ზღვაში შემატანას;  
და შეკრძქემ ჩაგლეჯ ტრფობის სხმიდის  
გაღვართაყვება შემატეობინს...

აფორაქდა რწმენის ტაძარი,  
სასუბების ვარდს ჩამოსტევა ტოტა;  
ახკერდა გული... აღელდა სულა...  
უდროოდ ჩასტანს ბედის წაღვოტი!

ბრძოლის წვეურვილით ვიწვი... ვიდაგვი...  
გქეოთანებ რწმენის ცაგ სამარესთან;  
გვამბორები სტროფოს შვს ხრდღილს,  
დემოხანდ ვსდგეკარ ბედის კარებთან!!

კ. ფშაველა



ორიოღა სიტყვა

სათეატრო ქურნალის დანიშნულებაზე

„თეატრი და ცხოვრები“-ს რედაქციამ პა-  
ტივი მცა და დამპატიოა ქურნალში მონაწი-  
ლეობის მისაღებად. მაგრამ მე ძლიერ მეძნე-  
ლებამ ამ ჩემთვის საპატიო თხოვნის ასრულე-  
ბა. დიდი ხანია ბედმა მომწყვიტა ქართულ თე-  
ატრს. დიდი ხანია კალამი ხელოში არ ამილია,  
რომ ქართულად რამე დამეწერა. მართალია,  
სულით და გულით ჩვენი ქვეყნის შვილად და-  
ვრჩი და, თუმცა რუსულად ვწერდი, მაინც ყო-  
ველთვის ჩვენი ქვეყნის ბედი მაინტერესებდა.  
მაგრამ რაკი გადავეჩვიე ქართულად წერას და  
ქართული სცენის ბედზე ფიქრს, ცხლა ძნელად  
მეხებრება ერთიც და მეორეც. ამიტომ ადრე-  
ვე ბოღიშს ვიხებ რედაქციისა და მკითხველე-  
ბის წინაშე, თუ მათ ვერ იბოვებს ვერაფერი  
მათთვის საინტერესო ქვემო მოყვანილ სტრი-  
ქონებში.

რა თქმა უნდა, სათეატრო ქუნალს დიდი  
მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს სცენის გასაუმ-  
ჯობესებლად, — ისეთივე დიდი მნიშვნელობა,  
როგორც კარგ რეჟისორს ან კარგ მასწავ-  
ლებელს სკოლაში. მან უნდა წააქეზოს ახალ-  
გაზუნა მსახიობნი, შეაყვაროს მათ სცენა ღ მისი  
ძირიანად შესწავლა. მხარი მისცეს ნიჭიერს  
ღრამატურგს, აუხსნას მისი ნაწარმოების მნი-

შენელობა როგორც მსახიობთ, ისე მაყურე-  
ბელთ. გულახდილად უჩვენოს მათ მათი ნაკ-  
ლულევენებანი, მათიშე ცდომანი, უჩვენოს, რო-  
გორ ასცილდნენ ისინი ცუდად არჩეულ გზას  
და სხვა. მაგრამ სად ვიშოვოთ ასეთი სასურ-  
ველი მცოდნენი სცენისა, სად ვიბოვოთ მეო-  
რე ლეისნი, ახალი ბელისნი ან სარსე? ჩვენ  
აქამდი გვეძნელება საგარეისი რეჟისორის ბო-  
ვნა. მით უფრო ძნელია გამოვებნოთ ნიჭიერი  
და მცოდნე კრიტიკოსი.

მაგრამ ახალ ქურნალს, როგორც მისი სა-  
თაური გვიჩვენებს, კიდევ სხვა დანიშნულება  
აქვს. მიზნად მას აქვს სცენის დაახლოება  
ცხოვრებასთან. ჩემის აზრით, ამის მიხწვევა შე-  
იძლება, სხვათა შორის, შემდეგის გზით. კარგი  
იქნება ახალმა ქურნალმა შეითვისოს ის ჩვეუ-  
ლება, რომელიც არსებობს სახლგარ-გარეთის  
ქურნალ-გაზეთობაში. ეს არის ესრედ წოდ-  
ბული „ინტერვიუ“, ე. ი. საუბარი სხვა და  
სხვა ცნობილ მოღვაწესთან ამა თუ იმ საინ-  
ტერესო საგანზე. ზოგჯერ ქურნალის თანაშე-  
წვე ესაუბრება არა მარტო ცნობილ მოღვაწეს,  
ესაუბრება აგრეთვე საზოგადოდ მკითხველებს,  
ან მაყურებლებს (თუ სცენაზე არის საუბარი)  
და რასაც ვაივებს—ბეჭდავს ქურნალში.

ეს გზა მეტად სასარგებლო იქნება ჩვენში,  
სადაც საზოგადოება ჯერ არ არის შეჩვეული  
თავისი აზრი თითონვე დაბეჭდოს. ეს მეტად  
გაუადვილებს ქურნალს დაუახლოვოს მაყურებ-  
ლები მსახიობს და პიესის ავტორს. რასაკვირ-  
ველია, ყოველი უვიცის აზრი თუ დაბეჭდვთ,  
ეს არამც თუ არაფერს სარგებლობას არ მოუ-  
ტანს სცენას, არამედ მისებელოც იქნება. მაგ-  
რამ თუ ფრთხილათ ვისარგებლებთ „ინტერ-  
ვიუთი“, თუ ვაივებთ აზრს ნიჭიერ და მცოდ-  
ნე მწერლისას, მსახიობის, ექიმის, ადვოკატის  
და სხვა საზოგადო მოღვაწისას, ამით ცო-  
ტათი მაინც ავაცილებთ ჩვენს მწერლობასა და  
სცენას იმ ნაკლს, რომელიც ახლა არსებობს  
ნამდვილ თეატრულ კრიტიკოსის, სათეატრო  
სკოლის რეჟისორის უქონლობის გამო. უკვი-  
ანი სიტყვა, ნამდვილ ცხოვრების ხმა ბევრს  
რასმეს ასწავლის ახალგაზუნა მსახიობსა და ღრა-  
მატურგს და ბევრს შეცდომას ააცილებს მათ.  
როცა საზოგადოება დარწმუნდება, რომ მისი  
ხმა არა რჩება ხმად მლაღადებელთა უღაბნო-

ში, ის მეტს ყურს აღევნებს სცენას, უფრო დაუახლოვდება იმას, უფრო შეიყვარებს და მეტს თანაგრძობას აღმოუჩენს. ასეთი შუამავლობა ჟურნალისა სცენისა და საზოგადოების შორის დაუმკვიდრებს მათ კავშირს და ბევრს მკითხველს და თანაგრძობს მოუპოვებს ჟურნალს. ასეა საზღვარ-გარეთ და მგანი ჩვენშიაც ასე იყოს, თუ მკვიდრად დავადგებით ზემოხსენებულ გზას.

### გ. თუმანიშვილი

#### ქართულ თეატრის მოღვაწენი



**თ. გიორგი მიხეილის ძე თუმანიშვილი**  
ქართ. სამუდამო სცენის ერთი დამფუძნებელთაგანი, დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენის სცენის წინაშე.

#### სიტყვა-კასმულ ნაწარმოებებს საერთო დაფასება (გაგრძელება)

რომ ვიპოვოთ მხატვრული ნაწარმოების საერთო საზომი, ამისთვის საჭირო არის მოვძებნოთ მხატვრობის ის საერთო სამფლობელო, სადაც იმისი სხვა-და-სხვა ნიშები შეადგენენ ერთ ტკბილად მომღერალ გუნდს, სადაც იმისი სხვა-და-სხვა სიშები იკრებიან ერთის გრძობით, ერთის სინაზით; სადაც იმისი სხვა-და-სხვა ძაფები შეადგენენ სილამაზისა და სიმშვენის ერთ უშველებელ ბაღს, ერთ ქსელს, რაშიაც იხლართება აღამიანის სული და გული, მისი გრძობანი და მისწრაფებანი.

ასეთ საერთო საზომად ჩაითვლება ის „რალაკ“, რომლის ნაკლულევიანებასაც ინსტიტუტურათა გრძობას ყველა დამფასებელი თავის საზომში, თავის შეხედულებაში.

შევეცადით რამდენიმეთ მაინც ავხსნათ ეს „რალაკ“; რამდენიმეთ რადგან, ჩემი აზრით,

იმისი მხოლოდ გრძობა შეიძლება საცხები და არა ახსნა.

ამ „რალაკის“ ნათლათ დანახვა კაცს შეუძლიან მხოლოდ თავისი პირადი გამოცდილება-დაკვირვებით და არა სხვის რჩევით. სხვას შეუძლიან მხოლოდ მიუთითოს ამ „რალაკის“ არსებობაზე, რადგან ხშირათ ყველაზე ძვირფასი, ყველაზე ჭეშმარიტი რამ მიკუნჭულია სადაც ტვინის მივიწყებულ კუთხეში, სადაც გულის სიღრმეში და აღამიანს არ ავონდება როდისმე შეიხედოს თავის ტვინის მივიწყებულ კუთხეში, ჩასწვდეს თავის გულის სიღრმეს და ამოაშვეოს იქიდან თავისი არსების განძი, თავისი უხილავი საუნჯე. მხოლოდ თუ მიუთითებს ვინმე, იქნება მაშინ მიხვდეს თუ რა დაუფასებელი სიმდიდრისა და თვისების პატრონი ყოფილა იგი.

ესლა, თუ გვინდა მხატვრული ნაწარმოების საერთო საზომი შევიმოშაოთ, მაშ გვერ უნდა გადავსწვიტოთ, თუ საერთოდ რა შეგვიძლიან მოვსთხოვოთ მხატვრობას?

ჩაუკვირდით თქვენ თვითონ მხატვრობის, ხელოვნების არსებას, მის დამახასიათებელ მუდმივ, განუყოფელ თვისებას და დინახავთ, რომ მხატვრულ ნაწარმოებში ყველაზედ უმოთვრესი მნიშვნელობა აქვს სალამაზესა და მგრძობიერობას.

თუ მხატვრულ ნაწარმოებში არ არის სილამაზე და მგრძობიერება, მაშინ ამ ნაწარმოებში რაც გინდა დიადი იდეია იყვეს გატარებული, ის ყოველთვის ისე აგვივლის გვერდზე და გაჰქრება შეუმჩნევლათ, რომ უბრალო სალამაზე კი არ ეტყვის ჩვენ სულსა და გულს, არამც თუ სიტკბოებითა და სიამოვნებით ააღვლევეს, ააშფოთებს ჩვენს გრძობას, ჩვენს ფიქრებს და ამ ღლეფასა და შფოთში თვითონაც შეეხმატკბილება, შეესისლობრცება მათ და განუყოფლათ იტხოვრებს მათთან თუ საშეუამოთ არა, განსაღვრულ დრომდის მიინც.

სამაგიეროთ ნაწარმოებში რამდენადაც უფრო მეტი სილამაზე და მგრძობიერობაა, იმდენათ ის უფრო მხატვრულია.

ბევრის აზრით, ხელოვნება უნდა იყვეს სინამდვილის გამომატეელი და ჭეშმარიტი, ხელოვნური ნაწარმოებიც ის არის, რომელიც უფრო ნამდვილადა მხატვრის ამ სინამდვილეს.

მაგრამ თუ სიტყვა „რეალისტურს“ ვიხმართ არა როგორც განსაზღვრულ ფილოსოფიურ მიმდინარეობის გამოხატველს, არამედ თავისი თავისუფალი, დამოუკიდებელი მნიშვნელობით, მაშინ თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ რეალისტური შეხედულება არის არა ის, რომელიც ცალმხრივ მნიშვნელობას აძლევს ხელოვნების უმთავრეს დანიშნულებას და ამით ფრიად საზღვრავს მის კომპეტენციას, არამედ ის, რომელიც უფრო ღრმად ჩასწვდება ხელოვნების არსებას, რომელიც უფრო კარგად გაითვალისწინებს არა მარტო ლოდიკურ აზროვნების შემწეობით, არამედ იმ, ჯერეთ კიდევ აუხსნელი, ფსიხიურ-ინსტიქტიური თვისებებითა და საზოგადოებრივ, რომლებიც ის მრავლად იმყოფებიან ადამიანის არსებაში.

ისე რომ ადამიანის იმ ღრმა და ნაზი სულიერ-ინსტიქტიური თვისებებით ხელმძღვანელობას, რომელსაც მეცნიერული ლოდიკა ჯერ ვერ ჩასწვდამია, არ შეიძლება ვუწოდოთ არა რეალისტური, რადგან ეს წოდება იქნება ფრიად აჩქარებული, წინდაუხედავი და რეალურობას მოკლებული.

ლიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, როცა მეც თვითონ ვითომდა ეს, „რეალისტურად“ ესჯიდი, მაგრამ საფუძვლიანმა დაკვირვებამ, მიუღლომელმა ანალიზმა იმ შთაბეჭდილებისა, რომელსაც ახდენს ჩემზე ესა თუ ის ნაწარმოები და გონებისაგან იმ უხილავი თვისებებისა, რომლის შემწეობითაც მოხდება ამა თუ იმ ნაწარმოების ავ-კარგიანობის გადაწყვეტა, დამარწმუნა, რომ ეს ჩემი ვითომდა რეალისტური საზოგადოებრივად მოუქნელი, მოკლე და გასწორ-გასწორა ყოფილა ისეთი მრავალფეროვანი, უშველებელი და ნაზი შემოქმედებისა, როგორც არის ხელოვნება.

როცა ვითომდა და რეალისტები ამბობენ, რომ ხელოვნება უნდა იყოს სინამდვილის გამოხატველი, მაშინ ისინი აქ გულისხმობენ მეცნიერულ სინამდვილესა და კეშმარტებას და ვერ ამჩნევენ, რომ ხელოვნებასაც აქვს თავისი სინამდვილე, მაგრამ მისი სინამდვილე უცნაურად განირჩევა მეცნიერულ სინამდვილისაგან. მეცნიერულ სინამდვილეს ერთ ასობს ვერც მიუხატებ, ვერც დააკლებ; ერთ მილი-მეტრზე ვერც მარჯვნივ წაიღებ, ვერც მარცხ-

ნივ, ვერც მაღლა, ვერც დაბლა, იოტის ოდნადაც-კი ვერ შესცვლი მის თვისებას.

სულ სხვაა ხელოვნების სინამდვილე. ის უცნაურ ფრთებს ასხამს მეცნიერულ სინამდვილეს და დააქროლებს კიდედან-კიდესკენ ვიღრე გაუძლებს თავის ფრთების ძალა, ვიდრე ეყოფა სივრცე და დრო.

ხელოვნება იღებს მეცნიერულ და ცხოვრების სინამდვილის მაქსიმალურ და მინიმალურ საზღვრებს რომ ამით მისი შინაარსი უფრო ძლიერად, უფრო საგრძნობლად იყვას გამოხატულ-გამოქანდაკებული.

მეცნიერულ და ცხოვრების სინამდვილეს ის ხშირად კიდევ მისწვდება ფიზიკურად და მაშინ ხელოვნების სინამდვილე დაკავშირებულია ცხოვრების სინამდვილესთან მხოლოდ სულიერად და დაქპრის, დასტრიალებს იმის გარშემო ისე, როგორც დედამიწა მზის გარშემო და მთავარე დედამიწის გარშემო.

ლ. მებრეველი



მ ს ა ხ ი მ ბ ს

(ვუძღვნი ვაზუნია-  
კავარლისს)

ტყეში შევედი, სტროფოს ვუქებდი,  
მივგანე: ბუჩქში მამაღუღაო  
და მის მადამოს, გუღაის საშოდ,  
ტყე მინდორ-ველი გადაშლიდო?  
აქ ვარდი ვანსე კავარდა შლიდი,  
ო, ზამახსი სემუღაოვანი,  
ზატარა ტურფა, ცქრადა ჩიტო  
შესტრფივალედა ნახ- ტყედა სმოვანი...

ჩემი განება იქით მიიხეობ,  
სადაც სუღაის-დგმა მამაღუღაო,  
და იქ ზატარა მოკლე დეღუშო  
ვარდი ევღაში ამოსუღაო!..

ვარღმა ფურჩქენიღმა მე კამიღმა,  
მივეღ, მოვერთე, კანათ შევეკარი,  
მოგაძღვნი შენ, ჩვენო მოძღვარო,  
შენ, ვინც გავიღე ცხოვრების კარი!

გ. შიხანცი

### უმთავრესი პრინციპი „ლალატი“-ს სცენაზე დადგმისა

(რეჟისორის შენიშვნები)

აგერ რამდენი წელიწადია, რაც ქართულ სცენაზე „ლალატი“ იდგმის.

პიესა ქართულ ცხოვრებაზე ზედ გამოკრილია. ამ შენიშვნაში სხვას არას ვიტყვით „ლალატიზე“, თუმცა-კი უნდა აღვნიშნათ, რომ კრიტიკა სერიოზულად არ შეხებია მას და არ გამოურკვევია მისი ავკარგანობა. ჩვენი სცენისათვის „ლალატი“ ძვირფასი განძია; ამას ამტკიცებს ის მოვლენა, რომ არ არის არც ერთი სეზონი -- პიესა ხუთჯერ ან მეტჯერ ამ დადგმულიყს. ამ ყაზმა ჩვენს დრამატულ მწერლობაში, პროპორციონალურად რომ ავიღოთ, არც ორგინალური და არც თარგმნილი პიესა არა ყოფილა წარმოდგენილი იმდენჯერ, რამდენჯერაც „ლალატი“!..

და ჩვენის რეჟისორთა და მსახიობთა სამარცხინოდ, საზოგადოების სამწუხაროდ, იგი პიესა არ ყოფილა დადგმულ-ნათამაშევი ისე, როგორც ეკადრება და შეეფერება.

მე აქ არ ვებძი, რასაკვირველია, კერძო როლების აღმასრულებელი. ყველამ იცის, ზოგიერთი როლი „ლალატის“ ზოგიერთ ჩვენ მსახიობთა-მიერ კარგად არის ნათამაშევი, ხოლო სამწუხაროა, რომ მიუხედავად ამ სასიამოვნო მოვლენისა „დალატი“ ჩვენს სცენაზე მაინც ყოველნაირ ღირებულობას მოკლებულია. და ჩვენის აზრით, ეს იმიტომ ხდება, რომ პრინციპი „ლალატის“ დადგმისა ვერ არის გააზრებული ჩვენის რეჟისორთა მიერ.

პირველ დადგმისთანავე „დალატი“-ს მარცხი შეემთხვა.

ყველას ახსოვს „დალატის“ პირველი წარმოდგენა სახაზინო თეატრში.

მას შემდეგ არც ვასწორებულა და არც წამხდარა „დალატი“-ს სცენაზე დადგმის საქმე. ერთხელ შემუშავებული ტრაფარეტი, ყოველნაირ ლოდიკურსა და კრიტიკულ გამართლებას მოკლებული, —აი, როგორ დახასიათდება „დალატი“-ს დადგმა ქართულ სცენაზე.

ეს ყველასათვისნათელია, — ხოლო პირად ჩვენი-კი ორმა რწმენაც არის, — და ამიტომ არ ვაგვებით ჩვენის რეჟისორთა-მიერ

შემუშავებულ ჩონჩხისა და გემის კრიტიკას. ამ მოკლე წერილის მიზანი „დალატი“-ს სცენაზე დადგმის პრინციპის გამოკვლევაა.

პიესა მეტად რთულია და ბევრს დაკვირვებას თხოვლობს.

„ლალატი“ თავის ეფექტებით რეჟისორს ცრუ მოვამარებებაში აყენებს.

ეს ეფექტები ღუპავს რეჟისორის მუშაობას; და უმთავრესი შეცდომა-ც დღევანდლამდე იმაში გამოიხატება, რომ ეს ეფექტებია ქვაკუთხედად, მთავარ პრინციპად ქმნილი „ლალატის“ სცენაზე დადგმის დროს.

მართალია, ეს ეფექტები პიესასთან განუყრელი არიან; მართალია, სილამაზის და სიკეთე-ლუქისათვის იგინი უსათუოდ საჭირონი არიან, მაგრამ იმდენად, რამდენადაც შენობას მოჩუქურთმავება სჭირია.

„დალატი“ სიმბოლიური ნაწარმოებია. „დალატი“-ს დრამატული სუფა (l'action dramatique) და სიმბოლითა ანუ ხორცსმულ აზრთა განვითარება ერთ უმთავრეს დებულების ირგვლივ სწარმოებას.

მთელი ერთი რთვი მონობის ჯაჭვთა დამსხვრევა-დაწყვეტა-აი, ეს დებულება.

ეს არის მორგევი მთელი დრამის მოძრავ კრკალში!


ეს არის მთავარი აზრი ლევენდისა.

ყოველი მოქმედი პირი წერტილია დრამატული კრკალზე დასმული, რომელიც ამ მორგვისაკენ მიისწრაფის, აი, ეს მორგევი და ამ წერტილითა მორგვისადმი მიისწრაფება უნდა ჩაიყაროს საძირკვლად, რომელზედაც მთელი პიესის კორპუსი აშენდება.

როდესაც „დალატი“-ს კითხულობთ, სტრიქონთა შორის გამოსქვივის დედა-აზრი პიესისა.

ხოლო სცენაზე თუ გადიტანთ „ლალატი“-სა, იგი აზრი უნდა აჩვენოთ მაყურებელსა. მორგევი პიესისა სცენის გარეშე სუფევს. და, აი, საქმეც იმაშია, რომ იგი მორგევი უხილავი ჩანდეს. საჭიროა ისეთი ატმოსფერის შექმნა, სადაც მაყურებელს შეეძლება გრძნობა პიესის დედა-აზრის უძრავად სცენის გარეშე სუფევისა. აი, უშირველესად ყოფლის, თუ გაითავაღისწინ რეჟისორმა და გამოხსნა, შეიგნო უმთავრესი პრინციპი „დალატი“-ს სცენაზე დადგმის და ისე შეიმუშავა დაწვრილებითი გეგმა, მაშინ დაინახეთ სუფესხვას. დავრწმუნდებით, თუ რა ელფერი უნდა ჰქონდეს „დალატი“-ს. რაკი საძირკველი ჩაყრილია, კედლების აშენება მუორე უმთავრესი საქმეა. მაგრამ ამაზე კვლავ ვილაპარაკებთ. ჯერ-ჯერობით-კი ეს ვიკმაროთ.

კონსტან-ანდრონი





ნ. გლახაშვილი

### წყურვილი

ღრამა 3 მოქ. 4 სურ.

#### მოქმედება პირველი

I სურათი

#### მოქმედნი 1 სურათისა:

პეტრია, გლეხი  
მისა პეტ. შეილები  
ნინა  
ანდრია

ბებია,  
მამა ილია, ნამოძ-  
ლვარი  
ექიმი სოფლისა  
გოგია დანიშ. ნინასი

სცენა: სოფლის მიწური დარბაზი. შუაში ჩამოკიდებულ ჯაბეზე ჰკილია ქვაბი, ამის ქვეშ ხიბეები ჰბოლავენ, მარჯვნივ ტახტზე წვანან: ანდრია და ნინა, ციებ-ცხელებით შეპყრობილნი. გვერდით კერასთან ზის ბებია და ფანდურზე დამღერის.

I

ბებია, ანდრია, ნინო

ბებია (ფანდურზე დამღერს)...  
იავ, ნანა, ვარლო, ნანა,  
იავ, ნანინაო;

გაივსე და გაიზარდე,  
ვარლო, ნანინაო.

ნუ შედრკები, ციებაა,  
შაშვო, ნანინაო;

რასა კრთები, ცხელებაა,  
გვრიტო, ნანინაო,

ნატრული ხარ მზის სხივისა?  
იავ, ნანინაო,

წყურვილი გაქვს წყაროს წყლისა?  
ვარლო, ნანინაო...

ანდრია (შემდეგ უსიტკეო ერთ ნანს სიმღერისა გამოადვიებს ტუჩების სველებითა) ბებია! პირი მიზრება, წყალი...

ბებია (მაწოდებს ზატარა ჯამით) აჰა, გენაცვალე...

ანდრია (რ მისვამს, ხელით მოაშორებს) ეს არ მინდა... აუღულარი მოიტა.

ბებია ექიმმა სთქვა, შვილო, აღუღებული წყალი სვანო.

ანდრია (უგმაყოფად) ეჰ, ექიმი, ექიმი! წყაროსი, წყაროს წყალი... მცხელა...

ბებია აღარ არის, შვილო... (თავისთვის) წყაროს წყალს ჩვენ ვილა გვანებებს...

ნინო (გამოადვიებს) ბებია, წყალი...

ბებია (მაწოდებს იმეფ ჯამს) დალიე, შვილო!

ნინო (შეხედავს ჯამს და რა მაიღებს ზარზე, უკან დაუბრუნებს) აღუღებულია, არ მინდა...

ბებია აუღულარი აწყენთო.

ნინო (კანკალით) წუწყაროსი... მზე... მცევა...

ბებია (ჩაუტკეპნის) გადაიხურე, გენაცვალე, ჩემო მზეთუნახაო ნინუცი, საბანი და შენივე ორთქლი გაგათბობს...

ანდრია (მადლა იუყრება) ბები!

ბებია რა გინდა, გენაცვალე, ჩემო ანდრა...

ანდრია ეხლა ხომ გაზაფხულია?

ბებია (ამ დროს შერცხადი სანათურზე ჯვის და ტაკჭაპებს) გაზაფხულია, გენაცვალე...

ნინო (საბანს გადაიხდის და რა შეინაშნავს, ისევე წაიხურავს) განა არ გესმის მერცხლის ქიქიქი?

ანდ. მაშ, რატომ მზე არა სჩანს?

ნინო (გადიხდას საბანს და ისევე წაიხურავს) რა, ბატონიანთ სახლია, შამოვიშუქოს?...  
ანდ. განა იმისი სხივი აქკი არ ჩამოაშუქებს?

ბებ. სანათურშიაც გვაწვდიდა, გენაცვალეთ, თავის სხივებსა...

ანდ. ეხლა რალასა ძუნწობს?...

ბებ. არა, შვილო, ის გულუხვია. ვინცკი მიუწვდება, ყველასათვის გულუხვია...

ნინო (გადიხდას საბანს, შემდეგ გადაიხურავს) ჩვენ რალა დაგვემართა?...

ბებ. კედელი აგვიფარა, გენაცვალეთ...

ქეიტკირის კედელი...

ანდ. ვინა?

ბებ. ბატონმა, შვილო, ბატონმა.. დაიძინეთ...

**ანდ.** რომელია?

**ნინო.** ძველია?...

**ანდ.** აი, ის, რომელიც გადაუსახლებიათ?

**ბებ.** არა, იმისმა მოადგილემა, დიდმა ბატონმა...

**ნინო.** წყაროც იმან გადაგვიგდო?...

**ანდ.** იცი, ბებია?! მე სიზმარი ვნახე...

**ბებ.** რა ნახე, გენაცვალე, ჩემო გვრიტო?

**ანდ.** ვითომა: მცხელოდა, პირი ისე მიზრებოდა, რო ტუჩები ერთმანეთს ეწყებებოდა...

**ბებ.** ვუი, ბებია მოგვიკვია, შვილო, ბებია...

**ანდ.** ერთბაშად, ის კედელი გაირღვა და წყარო-კი გადმოჩუხჩუხდა...

**ნინო** მერე არ დალიე?...

**ბებ.** (სისხრულით) მერე ნაკვალევზე ხომ არ წამოვიდა?

**ანდ.** ჰოლევ. აი, ნაბაღნარის თავით რომაა...

**ბებ.** იქ მოდიოდა, შვილო! მოდიოდა ის მშვენიერი წყარო...

**ანდ.** ჯერ ერთი კარგა დავეწაფე; რო გამოქვები, მერე გავიძრე ტანისამოსი და შიგ ჩავეშვი...

**ბებ.** (შეშინებული) მერე ხომ არ დგახარხო, შვილო?!

**ანდ.** არა, ბებია, ვიცი ცურავობა. აი, მდინარეში ვისწავლიე.

**ბებ.** კიდევ იმისათვის გაცხელებს, შვილო! ის წყალი ქობიანია... (მადლავს ახსენებს) ღმერთო! ნუთუ ამ ანგელოზის სიზმარს არ აახდენ? ამათ მიიწე არ აუხდენ?... (ახსენებს, ამ დროს ჩამოეშუქება ოდნავ მუხის სისივი)

**ნინო** (გადაისხდის საბანს, უკვე დაშუადებულია. შესტყერის მადლავს)

**ბებ.** დაიხურე, გენაცვალე...

**ნინ.** არა, ბებია, გავთბი... იცი, ბებია, მეტი რა ვნახე?

**ანდ.** სიზმარში?

**ნინო** მა ცხადლიე ხომ შენცა ნახავდი?

**ბებ.** რა, გენაცვალე, ჩემო შაშვო!

**ნინო** ვითომ: ბნელოდა და ისე ჰყინავდა, რომა თვალებს ვეღარ-კი ვახელიდი. რალაცა ეკლიან ბუჩქებში ვიყავი მომწყვდიული...

**ანდ.** გამოსვლა გინდოდა და ვერ გამოსულიყავი?...

**ნინო** სიარული არ შემეძლო, ვიყინებოდი.

**ბებ.** ამ დროს უნდა ილოცო ხოლმე, გენაცვალოს ბებია...

**ნინო** ვლოცულობ ხოლმე. ამ დროს ხელი მომავლო ვილაცა ქალმა და მუხლი მომადრეკინა...

**ბებ.** (ზარფჯვარს ისხსავს) წმინდა ნინო იქნებოდა, ვენაცვალე იმის მადლსა...

**ნინო** მითხრა: „ილოცე, შეევედრე უფალსა. მეც მოვიხმობ წმინდა გიორგისაო“... მართლაც უცბათ გამოექანა თეთრის ცხენით და ის ცამდის აბჯენილი კედელი ლახვარით გაარღვია...

**ბებ.** (მოყოფიანდა) გაარღვია?...

**ნინო** დიახ, გაარღვია. ამ დროს ამობრწყინდა მზე და დამთბა...

**ბებ.** მერე გავთბი, გენაცვალე?...

**ნინო** დიახ გავთბი. შემდეგ იქვე კლდიდანა გადმოჩუხჩუხდა ცივი წყარო...

**ანდ.** მერე, არ დალიე?!

**ნინო** დავლიე. მოვიხედე, დავინახე: ჩვენს ნაბაღნარზე გაშენებულიყო ბალი, შიგ საამურად ქიქიკობდნენ: შაშვი და მერცხალი; ვარდზე-კი ბულბული იჯდა და დახაროდა.

**ანდ.** მერე იმ ბაღსა ვინა რწყავდა? სათავეში ვინ უღდა?

**ნინო** სათავეში ვილაცა სამნი უღდგენ; შენკი კვალს უსწორებდი...

**ბებ.** იყო, შვილო! იქ, იმ ადგილას, იყო მაგისტანა ბალი...

**ანდ.** მერე, რალამ ამოავლო?

**ბებ.** უწყლოობამა და უმზეობამა...

**ანდ.** (მურცხალი ჭიკჭიკებს. მათ შორის დუმილია. ზუსის შემდეგ) ბებია! მწყურიან პირი მიზრება...

**ნინო** ....ნეტა კი ეხლა ის წყარო დამალიევიან...

II

ივანე, პეტრია.

**პეტ.** (შეიმდაის შეუქმნეულად. მივა კუთხეში, მიჯდება და ჩაბუხს მოკვადებს)

**ნინო** (მურცხალი ჭიკჭიკებს, ზუსის შემდეგ რა შეჭურებს მურცხალს) ნეტავი შენსაცე ფრთები მესხას...

**ანდ.** რას იზავდი?...

**ნინო** თავისუფლად ვიფრენდი. იქ, კედლის იქით, გადავფრინდებოდი, სადაც მზე თავისუფლად ბრწყინავს და თავის სხივებს აბანებს ცივი წყაროში...

**პეტ.** მამა მოგიკვდათ, მამაი!... მერე, თვით მეც, იმ კედლის აშენებაზედა ვენმარებოდი, მე-კი უბედურმა, რა ვიცოდი, თუ ამით მზეს ვიხშობდი?..

**ანდ.** (გატაცებული შერცხლითა) ბებია?! რატომ ჩვენ-კი არ გვასხია ფრთები?

**ნინო** მაშინ ხომ ანგელოზები ვიქნებო? დით...

**ბებია** ადამიანი, შვილო, მძიმეა... ცოდვისანსა, შვილო, ფრთები ვერ ზიდავს.

**ნინო** არც ადამსა და ევასა ჰქონდათ ფრთები!

**ბებია** არა ჰქონიათ, ჩემო ანგელოზო...

**ნინო** ნეტა ანგელოზი ვიყო...

III

იგინავე, **ექიმი**, **ილია**.

**ილია** (კარგბმავე) უპირველესი წამალი თავისუფალ მზის სინათლეა და ანკარა წყარო. ხოლო ამით-კი უხშობს კედელი, რომელიც უნდა დაინგრეს...

**ექიმი** სოფელმა ბრძანებით ააშენა. ნაბრძანები ბრძანებითვე დაინგრევა.

**პეტრია** (წამოაძახეს ნაფლანანად. წამოადგება.) მეე, მეც ვმუშაობდი იმის აშენებაზედა. დღიური ანაღები გვიხაროდა...

**ილია** თანაც გიკვირლათ, დიდი ბატონის მოწყალება?!...

**პეტრია** (შწუსრებით თავს დაიქნევს.) ხალისიანადაც ვმუშაობდით...

**ილია** (გულშტურუნულაბით) მძიმე ქვებს აწყობდით, კირით ჰკირავდით. ამით-კი კედელს ამაგრებდით...

**ბებია** (თავსათავის.) ნაკვალი სათავე თვითვე აჰქოლეს და წყარო გადაუგდეს.


**პეტრია** (ამოაფხრითა.) დიახ, ვკირავდით, ის-კი არ ვიცოდით, თუ...

**ილია** მზეს იხშობდით...

**პეტრია** რა ვიცოდით, შენი ჰირიმე...

**ექიმი** (მჯავს უსისჯავს ავადმყოფებს) ნამდვილი ციებ-ცხელებაა. მთელი სოფელი ამით არის შეპყრობილი.

წაშრვილი, მოქ. I, გამოსვლა III—IV. ნახატი ო. შმერლინგისა



**ილია**... უპირველესი წამალი: თავისუფალ მზის სინათლეა და ანკარა წყარო...

**ექიმი** ეგ-კი ბატონის სურვილ-ბრძანებაზე დამოკიდებული...

**ილია** არა, ხალხისა! სოფელს შეუქლიან დაჰქციოს...

**ბებია** ლამის მოიღწოს ყველა ამ სნეულე-ბამა...

**პეტრია** მაგან არ მოიღწო ჩემი ცოლი და ორი შვილი?... ოჯახი დამიბოლა.

ილია კედელი-კი მზეს აჰფარებია. კვალი წყაროსი აუბნევია...

IV

ივანე, გოგია, მიხა

**გოგია** (შემოსვლისას) ის კედელი-კი რომ დანგრეს, წყაროც აქვე გვექნებოდა, ასე შორს წასვლა აღარ დაგვეჭირებოდა.

**მიხა** დანგრევა, ბარე, კარგია, მაგრამ არც ისე ადვილია?!

**გოგია** (აძლევეს ბუბასს კოვით წყალს) აი, ბებია, წყაროს წყალია...

**ნინო** (მორცხვად თავისთვის) წყაროს წყალია?!...

**ანდრია** ჩქარა მომეცი, ბებია!...

**ექიმი** (იღივს ელზასაკებს. შიშობავს ბუბასს) აწყენო.

**მიხა** (ნინოს) წყაროსია მა! გოგიამ მოიტანა. საათის სავალი ნახევარ საათში მოარბენია.

**ილია** (თავისთვის ექიმს) უთუოდ უყვარს...

**ბებია** დანიშნულის მოტანილი, ვით სიყვარული, გამკურნავია. (ნინოს ასიყვებს) ჯერ შენ დალიე... (ანდრასს დარეკებით) ქალის პატივი, თუმცა „წყალი ჯერ პატარასაო“, მაგრამ მაინც ჩვენში ძველად ქალის პატივი სწვევიათ. (შიაწოდებს ანდრასს) მეც მოვალე ვარ მომავალთ გარდამოკცედ.

**ილია** კურთხეულ იყავ მოხუცო! ღმერთმა გამყოფოს სამაგალითოთ.

**პეტრია** ეგ რო არა მყავდეს, მა ვინ მოუვლიდა მე ჩემს ობლებსა.

**ექიმი** (ნინოს, რა შენაშნავს, რამ ბუბამ მეორედ მაწაფდა წყალი და სვამს) ნუ მოიქარბებ.

**ნინო** (ბუბასს) თითქო, კარგათა ვარ... (გადასხედვს გოგიას) არც მცივია...

**ბებია** (ოდნავ გაიღიმებს, გადასხედვს გოგიას) თვალი თვალს ათბობს, შვილო სიყვარულია... (ანდრასს) აა, გენაცვა, კიდევ მოსვი. წყაროა ჩვენი განმკურნებელი.

**პეტრია** დღეს-კი ჩვენთვის დაძვირებული.

**ილია** წყალი კვლავ ნაგუბარში ჩადგება.

**ბებია** მაშინ სოფელიც ამ სნეულებისაგან განიკურნება.

**ანდრია** (ბუბასს) ბებია, მცხელა, პირი მიშრება...

**ნინო** (ბუბასს) ბები, კიდევ მწყურნიან...

**გოგია** (იღივს, ეჭვიანობის დამიჯივით) თვითონ ჩადგება?!

**ექიმი** ეგ-კი ბატონის სურვილზეა დამოკიდებული.

**პეტრია** ჩვენი ბრალია, ჩვენი...

**ილია** არა. დამოკიდებული ნიადგებზე. რითაც სათავე გადაედგება—მითვე ნაკვალზე გამობრუნდება.

**გოგია** როგორ?! კედელი თვით დანგრევა, წყარო ჩვენკენ გამობრუნდება?

**პეტრია** ჩვენ, ჩვენ ჩავკირეთ...

**ბებია** ინგრევა, შვილო, დედამიწა...

**ილია** ძალა-უნებური ყოველი დანთქება...

**ექიმი** ბრძანებით აშენებული, ბრძანებითვე დანგრევა.

**ილია** ვინ ჩადგა კედელი, ჩვენ ნარუის სათავეში? ვინ აუქოლა ამ სოფელს ცამდის აბჯენილი კედლით მბრწყინვალე მზე?

**პეტრია** ჩვენ, ჩვენ...

**ბებია** ქვა და კირიც ჩვენის ურმებით მოზიდულია...

**ილია** ვინც ააშენა—იგივე დააქცევს. ვინც მეფეს დასვამს—იგივე გადასვამს.

**პეტრია** (ფაქრში) მაშ, მთელი სოფელი?...

**ილია** სოფელი!

**გოგია** მაგრამ მათში უმრავლესობა დაშინებულია?...

**ექიმი** ეგ სნეულება.

**ბებია** უწინ ჯანმრთელნი, ესლა ქაობმა დაასნეულა.

**პეტრია** წინად?! წინად მზე გვინათებდა...

**ილია** მირონივით წყარო გადმოდიოდა...

**მიხა** მთელმა სოფელმა?... (თავისთვის) ჩვენმა მშობლებმა?...

**ილია** (მიხასს) ავს და კეთილსა მშობელი სთესავს შვილის სამკვლად...

**ბებია** შვილის ვალია მშობლისა ცოდვა მოინანოს.

**გოგია** (მიხასს) გახსოვს, მიხა, გეუბნებოდი: ყოველი დღემდის აშენებული ამომავალ მზეს აჰფარებია და ამის გამო ეს სოფელიც ქაობის ბუღელ გარდაქცეულა.

**მიხა** ახლა-კი მესმის... რასაც გვიჩვედი, მაგონდება...

**გოგია** უნდა დანგრავს, რომ მზე გამობრწყინდეს.

**ილია** წყაროც—„მირონი“—თავის ნაკვალზე გადმოაჩუქებებს.

**გოგია** ხომ ვალადა გვდევს?!... (გადასჯადვს ნინოსს) მზე იყოს საჭირო, კედელი ეფარებოდეს, ეს-კი ცივებით იტანჯებოდეს? გამკურნებელი წყარო სწყუროდეს და მე-კი აქ მის დანიშნულსა შიში მძლევდეს?...

**ილია** სიყვარულმა ტარიელს ქაჯეთის ციხე ააღებინა.

**გოგია** მაშ წამო, მიხა! ჩვენი ტოლები შევკრიბოთ ყველა, და ერთობის ძალით გადმოვანგრიოთ რაც-კი რამ მზესა ეფარებოდეს.

**მიხა** ვასწი და მოვდევ.

**პეტ.** მეც გამოგყვებით...

**ექიმი** ფრთხილად, დიდი ბატონი არ გირისნდეთ. ბატონზეა დამოკიდებული.

**ილია** ნუ აჩქარდებით.

**ბებ.** აჩქარებითა სიფეელი არავის მოუქამია...

**გოგ.** ნუ აჩქარდებით?! ნუ თუ, ბებია, არ მოილაღე მოვლითა სნეულებისა?

**ბებ.** მოვლაც და დარიგებაც ჩემი ვალია.

**ექიმი.** თქვენ-კი მოთმენა.

**მიხა** კმარა მოთმენა. დაეიღბრჩეთ ამ ჭაობშია.

**გოგ.** წამოდი, ძმაო! მოთმენა მონას შეპფეროს.

**ანდ.** ბებია! მცხელა, პირი მიშრება...

**ნინო** ბებია! მცივა...

**ბებ.** თქვენ დაგენაცვლოთ ბებია, შეილო! წაიძინევით...

**მიხა** რომ დაესიზმროთ ბრწყინვალე მზეი?! კმარა სიხმარი. წავიდეთ, ძმაო!

**გოგ.** წავიდეთ, მიხა! მე გავიძლვებით...

**პეტ.** მეც, მეც თან მოგყვებით...

**ილია** (შეაჩერებს) ქმოიცადეთ, სიფრთხილეს თავი არა სტკივა. მოფიქრება სჯობს. გონებით ბრძოლა სჯობნის ღონესა.

**ექიმი.** ჯერ ვცადოთ თხოვნა. რაც ბატონზეა დამოკიდებული.

**გოგ.** (დაცინვის კალათი) როგორ! კედელსა ესთხოვოთ, ნუ ეფარება ბრწყინვალე მზესა?

**ბებ.** არ გამართებს, შეილო, უფროსის ცინვა.

**ილია** ყმაწვილებო! მათქმევინეთ...

**პეტ.** უადგილოა შენი დაცინვა.

**ილია** დაე, გეგონოს. ოღონდ მისმინე და ჩემი რჩევაც გაითვალისწინე.

**პეტ.** ბრძანეთ. გისმენთ, ჩვენო მამაო.

**მიხა.** გემორჩილებით...

**ილია.** შეგყაროთ ყველა სოფლის მცხოვრები და მიუღუზანეთ მოციქულადა...

**გოგ.** ვისა?! დიდსა ბატონსა? მზისა ამქოლსა, წყაროს დამშობსა?!...

**ილია** სოფლის მცხოვრების მდგომარეობა დაეუსუათოთ. სნეულები მას შევაბრალოთ.

**ბებ.** ცლა ბედის მონახევრეა.

**ილია** იქნებ დავგთანხმდეს, ის კედელი განახევროს, რომ მზემ ჩვენსკენ ნახევრად მინც გადმოიხაროს. წყაროს ნაწილიც ჩვენსკენ გადმოგვივლოს.

**პეტ.** ჩვენი სოფლისთვის მზე შუადლიდან გადმოზხირდება და წყაროს ტოტიც საზრდოდ გვეყოფა.

**ილია** მაშინ ეს ჭაობიც ვაშრება.

**ექიმი** უხილავი ბაქებიც, ცივ-ცხელებისა, განადგურდება. კოლოები მთლად ამოსწყდება.

**ანდ.** ბებია! მცხელა, პირი მიშრება.

**ნინო** ბებია! მცივა...

**გოგ.** (რე შეამჩნევს ნინოს კანკალს) წავიდეთ, ნულარ ვივიანებთ...

**მიხა** (ფიქრში) წავიდეთ...

**ილია** სოფელს, სოფელს შევკითხოთ.

**ბებ.** ღვთის მშობელმა გზა დაგილოცოთ. ნინო წმინდამა გზა გაგინათოთ.

**ნინო** მცივა...

**ანდ.** მწყურთან...

ფ ა რ დ ა

ს. გლახაშვილი

(შემდეგი იქნება)



სადღა არიან

დაბურულს ტუეში მავალი მოსა და ზედ ვზა მწარედ დაღოსებული. ჩემს ირგვლივ ქარი ღმუის-ღრიალებს და ტუე ირუევა აღშოთაებული. მე შექნადა სტრეფა, ნათესავები, მათით ვაუჯი გარემოცული... სულა არაან?... ქარი ღრიალებს და ტუე ირუევა აღშოთაებული.

ო. მკედლიშვილი



დრამის მოკლე ისტორია

(გაგრძელება, იხ. „თ. და ც.“ № 1)

ესხილოსის შემდეგ ტრაგედიას მწერლათს შორის პირველი ადგილი უკანასკნელს სოფოკლეს. ის სრულებით არა ჰქვავს თავის თანამედროვეს, მაგრამ უხუცეს თანამოავალს; რამდენადაც ესხილოსის ტრაგედიები ცალკე-ცალკე დაუმთავრებელი იყო, უსწორ-მასწორობითაა მოქმედების განხორციელებაში, და მძლეობის შთაბეჭდილების მომხდენი, იმდენად სოფოკლეს ტრაგედიები ამის სწინააღმდეგო სურათს წარმოადგენენ. მის ტრაგედიებში აშკარად სჩანს მეტი გემთაგება, სისწორე და მთლიანობა, ეს კი იმის მომასწავლებელი იყო, რომ დრამის ფორმა თან და თან განვითარდა, ტექნიკურ შემუშავდა და თვითონ მწერლებიც დახელოვდნენ. სოფოკლეს ტრაგედიები ნაწილობრივ კი არა ჰქვავს, როგორც ესხილოსის, არამედ მთლიანად ხელოვნური ნაწარმოებია, სადაც ფიქსიონალიზაციასთან დაკავშირებული ხასიათები (მიკალითად „ედიპოსი“). არ არის შიგნით ერთი მეტი სენა, არც ერთი ადგილი, რომელიც გამოწვეული არ იქნება მოქმედებას გიხილობრივად მდგომარეობით.

მართლაც სოფოკლეს ტრაგედიებში ხორბის კადეჟი აქვს დამოუკიდებელი ადგილი ჭარბად, მაგრამ ის მოქმედი ადარ არის, არამედ უბრალო მსახურბული ტრაგედიის, ავი შეადგენს, ასე რომ ვიქვავთ, ტრაგედიის მოსართავს, სმკაულს.

სოფოკლეს სელოში ტრაგედიას დამთავრდა, დასრულდა, ესე იგი იმან ტრაგედიასში მოქმედანი პირნი ორთა და სმით კი არ განსაზღვრდა, არამედ იმდენს მოქმედანი გამოიყვანდა, რამეთიც სჭარბო იყო ტრაგედიისთვის და თავის აზრის დასსურათებლად.

სოფოკლე არ იყო ესხილოსივით გატაცებული, მქუხარე; მასვით არც სადმე მოასუსტებდა, იგი იყო თანასწორი, დაზრასელი და მტკიცე კაღმის პატრონი.

განსაკუთრებულს თვისებას სოფოკლეს ტრაგედიებისში შეადგენს ხელოვნურად დასსიათება მოქმედ პირთა, არა ჩვეულებრივი სინანარე და სიმართლები ენის.

აი, ასრე შეიძლება დავასსიათოთ მოკლედ სოფოკლეს დირსება.

სოფოკლე დაბადდა კოლონასში 498—495 წლებში და გარდაიცვალა 406 წ. დრამა მოხუცებული.

პირველ სკანესურთ გამოხვლავებე, რადესაც ის 28 წ. იყო, დაზრცხე უგვე სხელგანთქმული ესხილოსი, რომელიც მასზე 30 წლით იყო უფროსი. იმის შემდეგ ეს პირველობა ტრაგედის მწერლის მას ვვადარავი გამოხვინა დრამ მოხუცებულსამდის.

სოფოკლე მოსწილეობას იღებდა თავის ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და რამდენჯერმე არხეული იყო კადეც სხვა და სხვა თანამდებობის ასსრულებლად. სოფოკლეს „ანტიოგონას“ გამოთქმული აქვს თავისი აზრი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნეს ქვეყნის კეთილი მმართველი; ამის გამო თავის თანამემამულეებმა აიხიეს იგი არქიტად, ე. ო. ამით ის უთხრეს, პას თუ მართლად მაგ აზრისას ხარ, შენვე აასრულე და აასრულე კადეც.

სოკლიდის შემდეგ სოფოკლეს ათინელებში თეატრში დაუღეს ბრანჯასო ძეგლი, როგორც ესხილოსის და კერპიადეს.

სოფოკლე ითვლება ძლიერ ნყოფიერ მწერლად; ელეგიების, ეპიგრამების და ხორბს შესახებ გამოკვლევების გარდა, მას დაუწერია 123 დრამა.

აქედან 100-ის მხოლოდ სთაურთ-და ვიცით და მცირე ნაწილები; ჩვენსამდის კი მთლიანად მხოლოდ შეიღმა მოაღწია, სხელდობრ: 1, აიაქსი, 2, ელექტრა, 3 ფილოკტეტე, 4 პერაქლეს სიკვდილი, 5 მეფე ედიპოსი, 6 ედიპოსი კოლონასში და 7 ანტიოგონა; უკანასკნელი სმში ტრაგედიას შეადგენს ერთი მთელს ამბავს, სხელდობრ მეფე ედიპოსის და მისი შვილების და სპედისსწერო დაღუპვის მოთხრობას.

ნარკილი



შოკრეულს

(ლექსისებური)

შენ მიწერი ციურ არსად გადაგაკეიე, გულს ჩავინებრე ლეოებრივი გრძობა და საული; ანგელოზთ ნაცვლად მუხათ გუნდი გარს მოგახვიე, ვარსკვლად სიტურფე გავიჩინე სათაყვანებლად.

ოდეს მწყურია თვალთ ვიხილო შენი მშვენება, შორს გავსტყვივარ ქვეყნის იქით უსაზღვრო სივრცეს, ტკიბილი ოცნებით იქ დავეძებ, იქ გპოვებს გული, იქ შემოგხარი, იქ გადიღებ ალტატებული!..

ნაზი გრძნობანი მალლა ცისკენ მოესწრაფიან, შენ ქვეყნად შობილს იქ გეძებენ ფერიად ქვეულს, იქ გიმღერიან, იქ ისმენენ შენს გულის თრთოლვას და თაიგულად მიკანავენ შენს ნაზთა გრძნობათ.

უფრო შორს გასწი, გადაპლახე მსოფლიოს კიდე, არ აგშორდება ჩემი ფიქრი, ჩემი გონება! ამ ქვეყანაზე ჩვენ ტრფობაში ოცნებაც კმარა, საღვებით მხოლოდ მე მასში ვგრძნობ ტკილ ნეტარებას.

დაე, ციურო, შენ მშვენებამ გაშალოს ფრთანი, მალლა გაფრინდეს, ძირს დასტოვოს „მეშვიდე ცანი!“ რაც შორს იქნები, მე მით უფრო შემიყვარდები, უფრო მომზიდევ, სანატრელად გადაიქცევი!

ვერც დროთა ბრუნვა, ვერც წუხილი, ვერც სიხარული ვერ გააჰკნობენ ამგვარ ტრფობის ყვავილსა გულში, მხოლოდ თუ დაგვმეს ბაგეთ შენთა ეს წმიდა გრძნობა, მაშინ გასჰკნება და გაჰქრება ტანჯვის უფესკრულში.

**ლევ. მეტრეველი**



**მარ. მიხ. საფაროვ-აბაშიძის** (იხ 15 გვ.)

**ს ც ე ნ ა კ უ ლ ი ს ე ბ შ ი**

თეატრის ძვირფასი მნიშვნელობა თვალსაჩინოა ჩვენთვის. ის დღეს ერთადერთი თავისუფალი სარკეა, სადაც ვხედავთ ჩვენს წარსულსა და აწმყოს. სცენაა დღეს ჩვენთვის ენის ტაძარი, საიდამაც სოფრებში დაქინებულ და შემწიკვლულ ქართული ენის ნაცვლად უნდა გვესმოდეს წმინდა, შეუბღალავი საუბარი, დამახინჯებელი სიტყვა და აზრი. ამიტომაც ყოველი საშუალება უნდა ვიღონოთ, თეატრის ასამაღლებლად, მის გასაუმჯობესებლად, მითო-

მაც ვაქცევთ ყურადღებას საზოგადოდ პიესის შინაარს, წარმოდგენის გარეგან მხარეს, ვარჩევთ თამაშს, ვხევებით მსახიობთ, მაგრამ ძლიერ ნაკლებად ვიცნობთ სცენის იქით კულისებს და უფრო ნაკლებად ვაფასებთ სცენის გამგეს—სცენარიუსს. პირველს ე. ი. კულისების უნაკლებლოდ გაცნობას, ჩვენი მოვალეობა არ გვაძალავებს, ხოლო მეორის ე. ი. სცენარიუსის პასუხსაგებ მოვალეობის გათვალისწინება ყველასათვის საჭიროდ მიგვიჩნია. კულისებში, სადაც სუფევს ერთგვარი უწყსოება, — შეუძლებელია ეს სენი სცენასაც არ გადაეცვას, ჩვენი თეატრის კულისები ამ მხრივ მეტად ხაოსიანი და მრავალფეროვანია. არევედარევა, უთავბოლოება, აურ-ზაური ხშირი მოვლენაა. თასი ვივივალახი ახვევია ხოლმე სცენის გამგეს. საქმე უფრო რთულდება მეტადრე მაშინ, თუ თავის მოვალეობასთან ერთად, პიესაში რაიმე როლიცა აქვს სათამაშებელი. რა—გასაკვირველი იქნება, ორი მოვალეობის შესრულებით ორივემ თუ არა, ერთმა მაინც წაიკოკლოს.

სასაცილო შემთხვევებიც ხშირია. №-ის სცენაზედ ერთ სცენარიუსს პიესაში ერთი როლი თვითონა ჰქონდა ნაკისრი, მაგრამ, დახეთ უბედურებას: სახელი — თუ ვის როლს თამაშობდა, — დავიწყებოდა.

მოქმედება სწარმოებს. სცენარიუსი წიგნით ხელში დაფაციფუტკობს. ხან ერთ კუთხეს აწყდება ხან მეორეს. მუსიაფში გართულ მსახიობთ აფხიზოლებს და სცენას აწარმოებს.

ბოლოს ჯერი თვით იმაზე მიდგა.

— აბა, ლეონარდოს გამოსვლაა, — წამოიძახა სცენარიუსმა და მსახიობთ მიუახლოვდა. ლეონარდო იქ არავინ იყო.

— ვინაა, კაცო, ლეონარდო — გაქანდა იგი მეორე კუთხისაკენ. ლეონარდო არც იქ აღმოჩნდა.

— დალახვროს ღმერთმა, ლეონარდო დაიკარგა — მორაო გამწარებელი ძახილი სცენარიუსმა.

წარმოდგენა შეფერხდა. პაუზა ანტრაქტად გადაიქცა. სცენაზე დარჩენილი მსახიობნი მაღლი-მალ კარებისაკენ იხედებოდნენ. თავს უხერხულ მდგომარეობაში გრძნობდნენ და მხსენლს — „მესისა“ ელოდნენ.

კულისებში-კი ერთი ალიაქოთი შეიქნა. ლენარდოს დაეძებდნენ. ყოველივე აირია დაიბნა. ბოლოს, როგორც იყო, ერთს მოავიწყდა:

— შე ოჯახ დაქცეულა! — შენ არა ხარ თვითონ ლენარდო?! და სწვდა ხელში წიგნის გამოსართმევად.

— ვა... მართლა!... — ავერ არა ვყოფილვარ!!! გახარებით წამოიძახა თავისი თავის მაძიებელმა და სწრაფად შეაღო სტენის კარები...

### ჯაფარ-ვაზა

## ლისას ბედი

კაი ცხოვრება მაქვს და კაი ბიჭი ვარო კი უნდა სთქვას სწორედ გაბილა ჩხაიძემ...

სამდროვოდ მოწყობილი დიდებული ოჯახი, დიდი შეძლება. თუ სადმე დეიტრბახებდა გურიანი აზნაურიშვილი, გაბილა პირველი იყო.

ვისაც აქვს, მიეცეს და მიემატოსო, ოჯახის დამამშვენებელი ერთად ერთი ქალი ყავდა ლისაი... ავ თვალს და ავთ მახსენებელს არ ენახებოდა, ისე იყო ჩამოსხმული ლერწამივით, რა პირი და რა ენა გამოსთქვამდა მის სილამაზეს და სიმშვენიერეს... ვინ გინდა, რომ მას არ შენატროდა, ბევრს მოსვლია პირში ნერწყვი მის ნახვაზე, ნეტა იი გოგო ჩემი ბედი იყოსო...

გაბილა მანც და მანც არც ქე ჩქარობდა მის გათხოვებას...

— დედავ ლმერთო, საქმელი ხომ არ გამწყვეტა ჩემი ბალანაიზა, რომ გადავაგლო სახლიდან, იტყუა — როცა უღირს სიძეს შეამღვედნენ...

ლისას გული სულ სხვისთვის უძგერდა... მისი სატრფო, გულის გვრიტი, მეორე სოფლის ჩახმახივით მარდი და შველზე ლამაზი ბიჭი, ვალამია...

მათი შეხვედრა და ფიცი—მტკიცე სიყვარულზე ერთი იყო...

— გენაცვალე, ჩემო ბიჭიკო, უშენოდ ღმერთმა ნუ მომასწრას ამ ქვეყნის ბედნიერებას, რა ჩემი სიცოცხლე შენ რომ არ მეგულბოდეს...

— ჩემო გოგონა, კაი ხარ და მეშინია, არ წამართვან შენი თავი... მამაშენს ჩემი ვაგონებაც არ უნდა...

სოფლის დღეობა მართობა იყო, როცა გაბილამ თავის ოჯახში ტყემალაძე, ქალაქის მწვერალი, მიიპატიჟა სადილად. გეიწყო თვალუწვდენელი სუფრა, რა გინდა სულა და გულო, ზეთ რომ არ იყო... ეთრჩიეს თამადა, გაჩნდა სადღეგრძელოები, დატრიალდა ყანწები, „ხანსანბეგურას“ და „ხელხევის“ ბოლო არ ჰქონდა, სადღეგრძელო-სადღეგრძელოს მოჰყვა. არ დარჩენილა არც ბოქაული და არც ნაწალიკი. ტყემალაძე ქალაქის თავის ნათლული ყოფილა.

— „ბატონო მასპინძლო! ნება მიბოძეთ, დეიწყო ტყემალაძემ, მის შემდეგ, რაც რომ მთავრობამ ერთობა ძირს ჩამოაგდო და განმტკიცდა მაგრა... ჩვენ მის მოციქულებს, ბევრი რამ შეგვიძლია; უჩვენოდ ამ სოფლად არაფერი არ გაეთედება, განსაკუთრებით თქვენთვის—აზნაურთათვის... კარგად გეხსომებათ თქვენი და გლახების უთანხმოება.. რომ ყველა ამას ბოლო მოეღოს... ამას გარდა მეც მინდა მოვუძებნო ჩემს გულს საკუთარი ბინა და დავაწყნარო მისი ძგერა... მე, პირველი ჩინის პატრონი, კომოთ ტყემალაძე, უმორჩილესად ვთხოვ თქვენ ქალს, გეჟიცებით და გაძლევთ პატიოსან სიტყვას, რომ ის იქნება ჩემი შუქურ-ვარსკვლავი, ჩემი გზის მაჩვენებელი, ჩემი... წარმოიდგინეთ ჩვენ ბოქაულსაც ძლიერ გაეხარდება... თუ, რასაკვირველია, თქვენც გამაზნდნიერებთ“...

დელია მეტი ღვინო, დატრიალდა ლეკური და დეინიშნა ჩვენი გოგო...

საწყალ ვალამის არ დასიზნია, ისე გაარბენის კვირიკეთის ეკლესიაში და გადასწერეს ჯვარი.

ჯერ არ მოსწრა იმ კუთხეს, ისეთი ქორწილი გადაიხადეს. აბა, სასიმამრო თავს როგორ შეირცხვენდა...

დედა-დედა რამდენი ქება დეიხარჯა. ძაან შესხმა იყო სიტყვების...

ლისას გულში არავის ჩოუხედავს...

ერთ მშვენიერ დილას დაატრიალა წაღმა დედამისმა და გეისტურა: „შეილო, აწი შენი იცი, როგორ გვარის სასახელო და ბედნიერი ქალი მეყოლები, არ დეიგეწყო ნენა შენი დაჩაგრული სოფელი, ვეგუეუციისაგან შეწუხებული და ყოველის მხრიდან აწიოკებული, შენ და შენი ქმარი ყველაფერს მოახერხებთ“...

— ეხლა, ეხლა მეუბნები, ნენა, როცა გამ-  
ყოფილ...  
ლოსიი და მისი ქმარი სულ არ იყვენ შე-  
სული ახალ დაძრულ მატარებელში, რომ უცებ  
ვალამი თვალი მოჰქრია: იცნო გულმა—გული,  
სულმა—სული...

უცებ აენტო ვალამი, დატრიალდა პატარა  
ბიჭი და გავარდა დამბაჩა ერთი-ორი...  
ასტყდა ღიდი უბედურება... მატარებელმაც  
მიაკივლა და მიაკივლა ქირისუფალივით...

**3. ურუშაძე**

**ქართული სცენის**

**მოძველ მეშაკათა მღვდამწერობა**  
(წერილი მოსკოვიდან)

გულზე ტეხლმოკიდებული გწერთ ამ სტრეო-  
ნებს და, არ ვიცი, ჩემი სუსტი ხმა მისწავება ქა-  
რთული სცენის გულშემატკივართა უურამდე, თუ და-  
რჩება ხმა მღვდლებლისად უღანოსა შინა?!

მაგრამ მაინც ფაქტს აღნიშნავ.

ვის არ მოეხსენება, რომ ცხოვრება წინ მაისწ-  
რათის, ცხოვრების ყოველ დარგში ახალი სხივი  
აშუქებს, სსოგადებრივ ურთიერთობის ფორმები  
ვითარდება, სხვაფერდება... ამ ზრტყის განდის  
აგრეთვე თანამედროვე კულტურულ ქვეყნებს სცე-  
ნები, ხოლო ჩვენი სამშობლო სცენა რომ ერთს  
ადგოსკა შეტბორებული, ამას რღა მტკიცება უჭირვე-  
ბა. ჩვენს სცენას თუ ახალი ინტელიგენტი ძღ-  
ნი, თანამედროვე სსსცენო ხელოვნებას განცო-  
ბილნი არ ჩაუარუნენ, სქმის გამობრუნება, ფესზე  
დაუნება მწვიათ. აღბად სწორედ ამ გარემოებას და  
სამშობლო სცენისადმი ტატრებულმა სიყვარულმა  
გამოსტერინა აქედ რამდენიმე ქართული ახლგა-  
ცაბა სოაეტრო სწავლის შესაქენად, თანამედრო-  
ვე სსსცენო ხელოვნების ცოდნის სამშობლო ქვეყ-  
ნაში გადასწერად. მაგრამ არ ვიცი, ჩვენ ქართუ-  
ლები ვუღირსებით-კი ამ ახლგაცდების კვლავ სმ-  
შობლოში დაბრუნებას ჩვენი სცენის სსსიკეთა?!

სიმშალი, სიცოვე, უბინაბა—თითქმის შუბღზე  
დასწერათის, სულს ჭხოთავს ამ მოძველ მუშაკთ  
ჩვენის სცენისა...

ნუ თუ ქართული სსოგადება ისე დაისძობს  
გულითურს სცენასზე სამუშაოდ აქ წამოსულთა მი-  
მართ, რომ თრ-სამ სტაჰანდაის ვერ გამოსძინის  
და სიმშალით, უსასწრად, გაცირებთამ ამხეთავს  
სულს?!

გარდა იმის, რომ აქ სსსცენო ხელოვნების  
შესასწავლად წამოსულმა ბინის ქირა და სსსმე-  
სსკმლის ხარჯი უნდა გადახდოს, მისთვის თვეში  
ათოდე მანეთის მანც საჭირო წავიკების, უურსალ-  
ბის, თუ სხვა საჭირო სმეცადინა ნიეთთა შეს-  
ძენად.

მაგრამ რას ვამბობ? თვითნ ამ სტრეოქენების  
დამწერი განხლდთ მოწამე იმის, თუ რთვორ და-  
თხსოვეს ერთის ბინადან ჩვენის სცენის მომავალი  
მუშაკი და სიმშალით გადაფითრებულთ თვისვე მზგა-  
ვსად დამუშელთ ბინებისკენ გაემართა... და ქენი-  
კი ქართულ სსოგადებებაში ცნობილნი არიან...

ბატონებო, სმუდამო სტაჰანდაის თუ ვერ მოუ-  
ხერხებთ, ერთ დროული შეწყობა მანც აღმოუჩი-  
ნეთ: ან წარმოდგენა-კონცერტი გამართეთ ამა ს-  
სრგებდოდ, ან სესხად მოაწოდეთ ვინმე. მსურ-  
ველთ შეუკლანთ „თეატრი და ცხოვრება“-ს რღა-  
ქცაში შეიტუნენ დაწვრილებით ცნობები ზემოხსე-  
ნებულს შესხებ.

სამშობლო სცენის გულშემატკივართ, დროით  
იგულისხმეთ ყოველივე ეს, თორემ „ტუეული ექ-  
ნება მერმედა თითზე გუნანა“...

**დროებით აღმომხვეწილი**

**ჩეენი მსახიობნი**

**მარიამ მიხეილის ასული საფაროვა-ბაში-**  
**ძისა**, 35 წელიწადი იქნება, რაც პირველად  
სცენაზე გამოვიდა და ქართულ სამუდამო სცე-  
ნას საძირკველი ჩაუყარა. ეს ის ხანა იყო,  
როცა ჯერ კიდევ ქალი ვერა ჰბედავდა სცე-  
ნაზე გამოსვლის: მ. მ. ს.-ამ დაჰგმო ეს ყა-  
ბლი შეხედულება, გამოდგა ფეხი სცენაზე და  
ღიღებულადაც გაიმარჯვა. ბოლოს ხანებში არ  
სთამაშობს სცენაზე, მაგრამ არ მოიპოვება მე-  
ორე აღმინი, რომ მასავით გულით და სუ-  
ლით ემსახურებოდეს ქართულ სცენის საქმეს.  
როგორც შევიტყეთ, საზოგადოება ფიქრობს  
მისი იუმბილი ვადახდას. დაწვრილებით ცნო-  
ბებს შემდგენ ნომერში მოვითავსებთ.

**ვლ. ალექსი-მესხიშვილი**. ეს ერთი კვირაა,  
რაც ჩეენი სასიქადლო ხელოვანი მსახიობი,  
ვლ. ალექსი-მესხიშვილი სამშობლოში დაბრუნ-  
და. საში-ოთხი წელიწადია იგი მთავარ რეჟისო-  
რად მსახურობდა რუსეთის სხვა და სხვა ქა-  
ლაქთა თეატრებში—კარანოიარსკს, რიაზანსა,

არანგელოს და მოსკოვში, ხოლო უკანასკნელ ხანს საგასტროლოდ მიწვეული იყო ტომსკში. როგორც დანამდვილებით შევიტყეთ, მსახიობი ახლა უკვე სამუდამოდ დარჩება საქართველოში მონაწილეობას მიიღებს თბილისისა და ქუთაისის სცენაზე; აგრეთვე ფიქრობს ჩვენის ქვეყნის საქმე მოაწესრიგოს და სასურველ ნიადაგზე დააყენოს, თუ მას ხელი შეუწყვეს. მსახიობი ჯერ კიდევ ჯანღონითაა სავსე და ხალისიანად ემსახურება თავის საყვარელ საგანს—თეატრს.

### განცხადებანი

**ფრონა** ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი, კვირეული დამატებით. წლიური ფასი 8 მ. და 50 კ. ნახევარი წლით 4 მ. 80 კ. ერთი თვით 80 კ., ცალკე № 5 კ., დამატებით 7 კაპ. ხელის მოწერა მიიღება თბილისში „დროების“ კანტორაში და ქ. შ. წ.-კ. გამავრ. სახ. წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან; ქუთაისში: ი. კვიციანიძესთან, ხონში: გ. მებუჯესთან, გორში: ს. შველიძესთან, ქიათურაში: ს. ტარუშვილთან. ფული გამოიგზავნოს Тифлисъ, ред. „Дროна“, П. С. Агладзе. რედაქ.-გამომცემელი **ი. ს. აბლაძე**.

**მოგაკვლი** ყოველ-ღღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. წლიურად 7 მ., ნახევარი წლით 4 მ. საზღვარ-გარედ 14 მ. ნახევარ წლით 7 მ. სამი თვით თბილისში 2 მ. 20 კ., თბილის გარედ 2 მ. 50 კ. ერთი თვით 80 კ., თბილის გარედ 90 კ. აღრესი: რუსის ქ., № 3, ზემო სართული. Тифлисъ, тип. „Пром“ Кал. Кон. Цуладзе. რედაქ.-გამომცემელი **ბ. მელიქ-შახნაზარიანცი**.

**ხალსი** საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. გამოდის მხოლოდ ორზამ. ფასი ყველგან 5 კაპ. აღრესით: Тифлисъ, типогр. „Сораниъ“ ძლი „Халхи“. რედ.-გამომცემ. **შ. საზაროვი**.

**НОВАЯ РЫЧЬ** ежедневная общественно - политическая и литературная газета; подписная плата для городеких на годъ 7 руб. на полгода 4 руб. для иногороднихъ 8 „ 5 „ помѣсячно 75 коп. адрес: Тифлисъ, Дворцовая д. 1 რუს. Дворян. ред. газ. „Новая Рьчъ“. Ред.-изд. П. А. Готуа.

1910 წლის 2 იანვრიდან გამომდის ახალი კვირეული სამხატვრო-საღიუმრატურო სათეატრო სურათებანი ურნალი

### თეატრი და ცხოვრება

იუმორ. განყოფილებით და კარიკატურებით ურნალის მიზანია სათეატრო კითხვების გარკვევა-განხილვა, თეატრის წარსული და აწმყო, ისტორია დრამისა და სცენისა. დიბუქდება სათეატრო წერილები, კრიტიკული განხილვანი, ისტორიულ-ბიოგრაფიული ცნობანი, მოთხრობანი, ლექსები, იუმორისტული წერილები, სურათები სცენის მოღვაწეთა, ხელოვანთა, მსახიობთა, დრამატურგთა. ყოველ ნომერში დაიბეჭდება სარეპერტუარო პიესა, ორგინალური თუ ნათარგმნი.

ურნალში ფართე ადგილი დაეთმობა ევროპისა და რუსეთის სათეატრო ცხოვრების მიმდინარეობას, აგრეთვე ჩვენ მეზობელთა — სომეხთა, თათართა, ოსთა და სხ. სცენის აღორძინებისა და დრამატული ლიტერატურის შესახებ წერილებს, —უმთავრეს უურადლებას-კი მიაქცევს სამშობლო თეატრის მდგომარეობას. ურნალს სვკანგუა თანამშრომელ-კორესპონდენტები ჰყავს რუსეთსა და საზღვარ-გარედ.

ურნალში მონაწილეობას მიიღებენ: ვ. ახაშიძე, მ. ჯამაშვილი, გელა, ს. გლახაშვილი, ივ. ვაშარაძე, მ. გომეზ, ი. გრიშაშვილი, ვ. გუნა, მ. დავაძე, შ. დადიანი, დეტუ-შეგრელი, დ. დარხია, ვაჟა-ფშაველა, მ. თაძე, გ. მ. თუმანიშვილი, მ. ორბელი, ნ. დორთქიანიძე, ვ. მაღაქიაშვილი, ს. შვალაბაძეშვილი, გ. შესხი, მ. შირიანაშვილი, დეკ. შეტრეკელი, ი. შტედლიშვილი, ნინო ნაკაშიძე, ი. ნაკაშიძე, ნარკანი, დ. ნახუციანიშვილი, ი. ნიკოლაძე, ტრ. რამიშვილი, ვ. ურუშაძე, ვ. დამაშვილი, გ. ეფენია, გრ. ეფუშვილი, ვ. შალიკაშვილი, ს. შანშიშვილი, თ. შერედიანი და სხვა ცნობილი მწერლები და მხატვრები.

კლიშეები მზად. ქარ. ახვ. ცინკოგრაფიაში.

#### ურნალის ფანი:

ერთის წლით დამატებანიან 5 მ., ნახევარ წლით 3 მ. თითო ნომერი 10 კ. ფულის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც; ხელის მოწერის დროს 2 მან., დანარჩენი ორ ნაწილად.

ხელის მოწერა მიიღება დრ. სახ. კანტორაში ი. იმედაშვილთან, დილით 10—2 საათამდე. საღამოს 5—8 ს. ფონტის აღრესი: Тифлисъ, Контора Груз. Драм.

О-ва. Гос. Зах. Имедашвили.  
რედაქ.-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი**